Bundesamt
für Migration
und Flüchtlinge

პირველადი საორიენტაციო კურსები

თავშესაფრის მაძიებლებისა და ადგილნაცვალი პირებისათვის

GEORGISCH

Integration

ვის შეუძლია პირველად საორიენტაციო კურსზე მონაწილეობა

პირველადი საორიენტაციო კურსები (Erstorientierungskurs = EOK) განკუთვნილია თავშესაფრის მაძიებლებისათვის საწყის ეტაპზე, საორიენტაციოდ. თავისუფალი ადგილების შემთხვევაში, სხვა პირებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, მაგალითად თავშესაფრის უფლებით ან ევროკავშირში ადგილნაცვალმა პირებმა.

პირველადი საორიენტაციო კურსები განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა ინტეგრაციის კურსებზე სიარულის, ან თუ ინტეგრაციის კურსს (ჯერ) არ აქვს შესაბამისი ადგილები.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც სკოლაში დადიან (სკოლის ასაკის პირებს), არ შეუძლიათ პირველად საორიენტაციო კურსებზე მონაწილეობის მიღება.

რას ისწავლით თქვენ კურსებზე

პირველად საორიენტაციო კურსებზე თქვენ ისწავლით საორიენტაციო გერმანულს. შინაარსობრივად საქმე ეხება ყოველდღიურ თემებს. კურსზე თქვენ იღებთ ინფორმაციებს შემდეგ თემებზე:

- ყოველდღიურობა გერმანიაში
- მუშაობა
- საყიდლები
- ჯანდაცვა/სამედიცინო უზრუნველყოფა
- ბაღი/სკოლა
- მაუწყებლობის მოხმარება გერმანიაში
- ადგილზე ორიენტირება/ ტრანსპორტი/ გადაადგილება
- წეს-ჩვეულებები გერმანიაში5/ადგილობრივი თავისებურებები
- საკუთარ თავსა და სხვებზე საუბარი/ სოციალური კავშირები
- ცხოვრება
- ღირებეულებები და თანაცხოვრება

პირველადი საორიენტაციო კურსის მასწავლებელი ამ თემებიდან მონაწილეთა ინტერესის მიხედვით ამოარჩევს ხუთ თემას. ამას ემატება მოდული „ღირებულებები და თანაცხოვრება“. კურსზე უნდა იაროს ყველა მონაწილემ. აქ თქვენ სწავლობთ თუ რომელი ძირითადი ღირებულებები განსაზღვრავენ გერმანიაში ცხოვრებას და რა ფორმით გვხვდება ისინი.

გაკვეთილის შევსება ხდება ექვსკურსიებით. ექვსკურსიების დროს მიდიხართ სხვადასხვა დაწესებულებაში, ბიბლიოთეკაში ან ბაზრობაზე. ეს ექვსკურსიები გეხმარებათ გარემოში ორიენტაციისათვის და ნასწავლის პრაქტიკულად გამოყენებაში.

რა მოცულობისაა კურსი

კურსი შედგება ექვსი მოდულისაგან თითეული 50 საათისაგან და ამრიგად საერთო რაოდენობაა 300 საათი. ერთი გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წუთია. ჩვეულებრივ სასწავლო დღეს ტარდება რამდენიმე გაკვეთილი.

როგორ შეგიძლიათ პირველად საორიენტაციო კურსზე მონაწილეობის მიღება

კურსზე მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი და უფასო. თუ გაინტერესებთ პირველად საორიენტაციო კურსზე მონაწილეობა, მიმართეთ თქვენს ფედერალურ მიწაზე არსებულ ცენტრს, რომელიც სთავაზობს და კოორდინირებას უწევს კურსებს.

დამატებით ინფორმაციებს ცენტრების, პირველადი საორიენტაციო კურსების შესახებ იხილავთ:

www.bamf.de/eok

https://bamf-navi.bamf.de

აქ გაიგებთ მეტს:

იმპრესსუმ

გამომცემელი:
Bundesamt für Migration und Flüchtlinge
90461 Nürnberg

მდგომარეობა: 08/2023

გამომცემლობა: Kern GmbH, Bexbach

დიზაინი/ილუსტრაცია: KonzeptQuartier GmbH, Fürth

დაკვეთის შესაძლებლობები:
Publikationsstelle des Bundesamtes für Migration und Flüchtlinge
www.bamf.de/publikationen

ეს ბროშურა გამოიცემა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფარგლებში, ლტოლვილთა და მიგრაციების ფედერალური სამსახურის მიერ. გამოცემა ვრცელდება უფასოდ და ის არ იყიდება.

გვესტუმრეთ შემდეგ გვერდებზე

www.facebook.com/bamf.socialmedia
@BAMF_Dialog
bamf_bund

Other Language
www.bamf.de/publikationen